თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5955100

ნომერი: AR1899382

თარიღი : 19.05.2022

გაცემის თარიღი : 25.05.2022

გაცნობის თარიღი : 25.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება სან-ზონა , კორპუსი 19ა , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 19 მაისს №AR1899382 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 29

აპრილის №5910764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის, მისი ფუნქცია/დანიშნულების და საზოგადოებრივი საზღვრების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებით ქ. თბილისში, დასახლება სან-ზონა, კორპუსი №19ა, მიმდებარედ არსებულ, №01.12.07.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის (ფუნქცია/დანიშნულება: სავაჭრო ობიექტი) რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო ობიექტად „პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია"-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „სავაჭრო ობიექტები", ფუნქცია/დანიშნულებად „სავაჭრო ობიექტი"-ის ნაცვლად დაფიქსირებულია „პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია". ხოლო, საზოგადოებრივი საზღვრები „სამხრეთით და დასავლეთით არსებული გზების მხრიდან" ნაცვლად დაფიქსირებულია „სამხრეთ-დასავლეთით". შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 01.12.07.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია სამხრეთით და დასავლეთით არსებული გზების მხრიდან. ამასთან, 2022 წლის 13 აპრილის №AR1892887 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.12.07.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებით, თუმცა საპროექტო ობიექტი, მისი ფუნქცია/დანიშნულება და საზოგადოებრივი საზღვრები ტექნიკური შეცდომის გამო არასწორად დაფიქსირდა. ამავე განცხადებით წარმოდგენილ იქნა ბანერი, საიდანაც დგინდება, რომ მოთხოვნილი იყო პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის რეკონსტრუქცია. ამასთან, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი 1-ის მე-5 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ში (სზ-6) პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობას. გარდა ამისა, სამსახურში ფიქსირდება 2022 წლის 02 მაისის №AR1895842 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებაში და:
1.1 საპროექტო ობიექტად „სავაჭრო ობიექტები"-ს ნაცვლად დაფიქსირდეს: „პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია".
1.2 ფუნქცია/დანიშნულებად „პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია"-ს ნაცვლად დაფიქსირდეს „სავაჭრო ობიექტი".
1.3 საზოგადოებრივი საზღვრები „სამხრეთ-დასავლეთით"-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: „სამხრეთით და დასავლეთით არსებული გზების მხრიდან".
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის №5910764 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge